



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 39

2018 წლის 29 ივნისი

ქ. ბათუმი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ „ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერზე გრანტის მიღების და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ „ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, მიიღოს მონაწილეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სახელით, შემდეგი მიმართულებით, „ეკონომიკის განვითარების დაგეგმვა მოქალაქეების ჩართულობის გაუმჯობესებით“, მიიღოს გრანტი და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვახტანგ ლორთქიფანიძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ. N30)
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე